



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვატკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

15 დეკემბერი 2023 წელი

№ 52/36

ვგ. № 1

ადიგენის მუნიციპალიტეტის
2021-2022 წლების
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	6
	აუდიტის კრიტერიუმები	6
	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	8
	2. აუდიტის მიგნებები	9
დანართები	დანართები	24
	საკონტაქტო ინფორმაცია	27

ტერმინები და შემოკლებები

- / ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- / ი/მ – ინდივიდუალური მეწარმე.
- / მერია – ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია.
- / მუნიციპალიტეტი – ადიგენის მუნიციპალიტეტი.
- / საკრებულო – ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- / შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების
მართვა

ინფრასტრუქტურის
მშენებლობა, რეაბილიტაცია
და ექსპლოატაცია

მუნიციპალური სერვისების
მიწოდება

ქონების მართვა და განკარგვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ბიუჯეტის შესრულების ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2021-2022 წლებში, შესაბამისად, 20.8%¹ და 19.9%² დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.³

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 1,116.5 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას სამუშაოების ნაწილზე არ არის მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

ხარვეზებით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე. შედეგად, მუნიციპალიტეტი იბარებდა ხარვეზებით შედგენილ დოკუმენტაციას, რაც გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე, ამასთანავე, აუარესებდა მერიის პირობებს. მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

გამოუყენებელი აქტივები

მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას შეისყიდა ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მასალები, რომელიც გონივრულ ვადაში არ გამოუყენებია. შედეგად, 65.8 ათასი ლარი დახარჯულია არაეფექტიანად და სრულად არ არის მიღწეული პროექტით გათვალისწინებული მიზნები.

მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია. სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი. მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება.

ქონების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტი გასხვების შემდგომ საჯარო რეესტრში ვალდებულების გარეშე დარეგისტრირდა. შედეგად, საფრთხე შეექმნა ძეგლის კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას.

¹ ვერ იქნა ათვისებული 1,819.1 ათასი ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 2,248.7 ათასი ლარი.

³ 2021 წელს - 1,727.9 ათასი ლარი, 2022 წელს - 857.8 ათასი ლარი.

**ორგანიზაციული და
პერსონალის მართვა**

მუნიციპალიტეტმა 2021-2022 წლებში არ გადასინჯა წინა წლებში იჯარით გაცემული ქონების საიჯარო ქირა, რითაც დაკარგა მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან
მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ფარგლებში, რამაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯი გამოიწვია.

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

მერამ ვერ უზრუნველყო საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1. მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას გამოიყენოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია №2. მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სამშენებლო სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

რეკომენდაცია №3. მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას. აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

რეკომენდაცია №4. მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

რეკომენდაცია №5. მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას, მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე; აღნიშნული შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელს.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ადიგენის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ადიგენის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2022 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:⁴

⁴ 2021-2022 წლებში მოქმედი რედაქციით.

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 19 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“;
-)/ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №33 დადგენილება „ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

ა) ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №28 დადგენილება „ადიგენის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

- აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:
- ა) აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
 - ბ) დოკუმენტური შემოწმება;
 - გ) ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
 - დ) ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ადიგენის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 21 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს 55 სოფელს, დაბა აბასთუმანს და ადმინისტრაციულ ცენტრს – დაბა ადიგენს.⁵ მუნიციპალიტეტის ფართობია 799 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 15.9 ათას კაცს.⁶

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები – 5,960.3 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის განვითარება – 17,230.8 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა – 1,230.6 ათასი ლარი; განათლება – 2,313.9 ათასი ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი – 2,750.4 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 1,220.0 ათასი ლარი.

⁵ ინფორმაციის წყარო: mreg.reestri.gov.ge (2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

⁶ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge (2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

2.1.1 ბიუჯეტის შესრულების ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁷ მუნიციპალიტეტმა 2021-2022 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოსახლეობის პრობლემების გაუმჯობესება და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁸

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2021-2022 წლების შემოსულობებმა – 31,569.5 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 30,706.0 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2021-2022 წლებში (ათასი ლარი)⁹

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრუ ლების %	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრუ ლების %	სულ ფაქტი
შემოსულობები	13,208.1	13,940.1	105.5	17,320.9	17,630.0	101.8	31,570.1
შემოსავლები	12,850.7	13,066.0	101.7	16,700.3	17,002.8	101.8	30,068.8
არაფინანსური აქტივების კლება	357.4	874.1	244.6 ¹⁰	620.6	627.2	101.1	1,501.3
ფინანსური აქტივების კლება	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	15,488.2	13,062.5	84.3	20,530.6	17,643.5	85.9	30,706.0
ხარჯები	6,684.8	6,079.0	90.9	9,033.6	8,537.6	94.5	14,616.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,747.8	6,927.9	79.2	11,441.4	9,050.3	79.1	15,978.2
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	55.6	55.6	100.0	55.6	55.6	100.0	111.2
ნაშთის ცვლილება	- 2,280.5	877,6		-3,209.8	-13.5		

ორივე საბიუჯეტო წლისათვის მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის გადასახდელების მუხლი. კერძოდ, მერამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები და ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის,

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁹ წყარო: ადიგენის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.

¹⁰ 2021 წელს გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით მუხლის მკვეთრი ზრდა გამოწვეულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზებით.

წყლის სისტემის, სპორტული მოედნების, სკვერებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის და რეაბილიტაციის სამუშაოები,¹¹ შეუსაბამოდ დაიგეგმა ან/და არ ჩატარდა კულტურული და სპორტული ღონისძიებები და სხვ.

საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვისა და შესრულების გამო, მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 2,449.1 ათასი ლარი. 2021 წლისათვის დაიგეგმა 2,280.5 ათასი ლარის ათვისება, თუმცა ფულადი სახსრების დაგროვებამ 877.6 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 3,326.7 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 1,727.9 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.¹² 2022 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 3,209.8 ათასი ლარის ნაცვლად ათვისა მხოლოდ 13.5 ათასი ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 3,313.2 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 857.8 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2021-2022 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების/პროგრამების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას გამოიყენოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2.2.1 დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა 182 ხელშეკრულებით, ღირებულებით – 19,567.1 ათასი ლარი.¹³ მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა მერიის ინსპექტირების ჯგუფი.¹⁴ ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და

¹¹ დაგვიანდა შესყიდვის პროცესი, გაიზარდა სამუშაოს მიწოდების ვადა, სამუშაოები არ დასრულდა ხელშეკრულებების შეწყვეტის გამო და სხვ.

¹² თავისუფალი ნაშთი - ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6.

¹³ 10.0 ათასი ლარის და მეტი ღირებულების პროექტების სახელშეკრულებო ღირებულება.

¹⁴ ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარების და ჩატარებული სამუშაოების კონტროლის მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

ტექნიკური ზედამხედველის¹⁵ მიერ გაცემული დასკვნების გათვალისწინებით, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

აუდიტის ჯგუფმა ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად,¹⁶ რის შედეგადაც გამოვლინდა დაზიანებული ობიექტები. მაგალითად, მუნიციპალიტეტმა 2022 წელს შეისყიდა¹⁷ სოფელ მლაშისა და სოფელ მოხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ღირებულებით – 282.7 ათასი ლარი. გზის ნაწილი დაზიანებულია.¹⁸

გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა 12 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 833.9 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია მინი-სტადიონები, საბავშვო ბაღი და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. ინფორმაცია 2021-2022 წლებში შესყიდული და დაზიანებული პროექტების შესახებ ასახულია დანართ №1-ში.

როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას, სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. შედეგად, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, ძირითადად, აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომელთა გამოვლენა ინსპექტირების ჯგუფისა და საექსპერტო დაწესებულების ვალდებულებაა. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს პასუხისმგებელი სუბიექტების შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

დათვალიერებით გამოვლენილი დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადები არ იყო ამოწურული. მიუხედავად ამისა, მერიის შესაბამის სამსახურს ყველა ობიექტის მონიტორინგი არ განუხორციელებია, რაც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემდა გამოეკვლია დაზიანების მიზეზები და მიმწოდებლებისათვის მოეთხოვა დაზიანებების გამოსწორება. მუნიციპალიტეტმა ხარვეზების გამოსასწორებლად 13 შემთხვევიდან მიმწოდებლებს მიმართა და დაზიანებები აღმოიფხვრა 8 ხელშეკრულების ფარგლებში, ღირებულებით 859.3 ათასი ლარი.¹⁹ შესაბამისად, მერიამ სრულად არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და არ უზრუნველყო არსებული წუნის მიმწოდებელი ორგანიზაციების სახსრებით დროული აღმოფხვრა.

¹⁵ 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტების შემთხვევაში სამუშაოებს ამოწმებდა შპს „ქრიზოლითი+“ (NAT190023680; NAT210003918; NAT210026180).

¹⁶ 2023 წლის 13 და 14 ივლისს.

¹⁷ NAT220001024, მიმწოდებელი შპს „ასტორია“.

¹⁸ გზის ნაპირის გასწვრივ ასფალტბეტონი დაზიანებული და დაშლილია.

¹⁹ NAT200016389; NAT220018388; NAT220018213; NAT210017949; NAT220001024; NAT210009307; NAT220015457; NAT210009734.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი მექანიზმები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 1,116.5 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლოატაციაში მიღებიდან მოკლე დროში ნაწილობრივ დაზიანდა და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, არ გამოავლინა მათზე პასუხისმგებელი სუბიექტები და ზარალის ანაზღაურების მიზნით არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №2

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სამშენებლო სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

**2.2.2 ხელშეკრულების
ადმინისტრირების
ნაკლოვანებები**
**2.2.2.1 საპროექტო-
სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის
ნაკლოვანებები**

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ სატენდერო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.²⁰ მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, ითვალისწინებს ხარისხიანი პროდუქტის მიწოდებას, ხოლო ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში – მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.²¹

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა 47 ხელშეკრულების საფუძველზე შეისყიდა 302 ინფრასტრუქტურული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით – 348.3 ათასი ლარი.²²

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული პროექტებით შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობა. გამოვლინდა, რომ შესყიდული დოკუმენტაციის ნაწილი შეიცავდა ისეთ ხარვეზებს, რომლებიც პროექტის ავტორს მარტივად უნდა განესაზღვრა დოკუმენტაციის შედგენის ეტაპზე ან მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს აღმოეჩინათ მიღება-ჩაბარების დროს. შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ხელშეკრულებებში ცვლილებები შედიოდა სისტემატურად. კერძოდ, 58 ხელშეკრულებაში შეტანილია 86 ცვლილება, აქედან, 20 ხელშეკრულება შეცვლილია ორჯერ და მეტჯერ. პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში არსებული ხარვეზების გამო იცვლებოდა სამუშაოების მოცულობები ან/და ემატებოდა ახალი სამუშაოები. აღნიშნული იწვევდა

²⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7.

²¹ NAT200006707, NAT200001508, NAT200006273, NAT210002885, NAT210002945, NAT210026182, NAT220011408 და სხვ.

²² მათ შორის: 2020 წელს გაფორმებულია 15 ხელშეკრულება, თანხით - 100.9 ათასი ლარი; 2021 წელს - 16 ხელშეკრულება, თანხით - 137.6 ათასი ლარი; 2022 წელს - 16 ხელშეკრულება, თანხით - 109.8 ათასი ლარი. საპროექტო დოკუმენტაცია შესყიდულია სულ 26,052.0 ათასი ლარის ღირებულების პროექტებისათვის.

როგორც სახელშეკრულებო თანხების ცვლილებას,²³ ასევე სამუშაოების დასრულების ვადების გაზრდას.²⁴ უხარისხო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციამ გამოიწვია ტენდერის/ხელშეკრულების შეწყვეტაც, მაგალითად:

- J 2021 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა „კურცხანის“ სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობისა და სალექარის მშენებლობის/რეაბილიტაციის სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით – 621.2 ათასი ლარი.²⁵ ტენდერში გამარჯვებულმა საწარმომ სამუშაოები არ დაიწყო პროექტში არსებული სერიოზული ხარვეზების გამო, რომლის კორექტირებაც, აღნიშნული შესყიდვის ფარგლებში, ვერ მოხერხდებოდა.²⁶ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელთან ხელშეკრულება შეწყვიტა. მერიამ თვითონ შეიტანა საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილება და ხელახლა გამოაცხადა ტენდერი.²⁷ თავდაპირველად შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციის უხარისხობის გამო სამუშაოები დასრულდა გათვალისწინებულზე ერთი წლით დაგვიანებით;
- J 2021 წელს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ორი ტენდერი სოფლებში: ფხეროსა და მლაშეში მინი-სტადიონების მოწყობის სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით – 231.8 ათასი ლარი.²⁸ შერჩევა-შეფასების ეტაპზე დადგინდა, რომ ატვირთული სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავდა ხარვეზებს²⁹ და ტენდერები შეწყდა. მიმწოდებლის მიერ ხარვეზებით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამო, ტენდერი ხელახლა გამოცხადდა და სამუშაოების დასრულების ვადა გადაიწია;
- J 2021 წელს მუნიციპალიტეტმა სოფლების: მოხე-კეხოვანის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოებზე ხელშეკრულება გააფორმა შპს „არალთან“, ღირებულებით – 65.8 ათასი ლარი.³⁰ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა არსებულ მდგომარეობას, რის გამოც მოხდა პროექტის კორექტირება. შეიცვალა ხარჯთაღრიცხვის თითქმის ყველა მუხლი³¹ და სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 6.3 ათასი ლარით. აღნიშნულის გამო სამუშაოების დასრულების ვადა 71 დღით გაიზარდა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა არ დააწესა სათანადო კონტროლი მიმწოდებლების მიერ ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე. მის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაბარებული საპროექტო

²³ 5 ხელშეკრულების ღირებულება (NAT210007879; NAT210007072; NAT220008770; NAT220022905; CMR220096206) გაზრდილია, ჯამში - 20.0 ათასი ლარით.

²⁴ მიწოდების ვადები გაზრდილია 22 ხელშეკრულებაში. მინიმალური ზრდა - 7, ხოლო მაქსიმალური - 71 დღეა.

²⁵ NAT210010094.

²⁶ საპროექტო დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა რეალურ მდგომარეობას: პროექტით წყალმიმღები კვანძიდან წყლის მიღება ხორციელდებოდა ზედაპირულად, სადრენაჟე სისტემების გარეშე. აღნიშნული გამოიწვევდა როგორც არსებული სალექარი კონსტრუქციების არაეფექტიან მუშაობას, ასევე დანარჩენი კვანძების შეფერხებით ექსპლოატაციას.

²⁷ NAT230003053.

²⁸ NAT220011716 - 117.9 ათასი ლარი; NAT220011717 - 113.9 ათასი ლარი.

²⁹ ხარჯთაღრიცხვების გაანგარიშებები შეიცავდა შეცდომებს, რის გამოც სატენდერო ღირებულება არასწორი იყო.

³⁰ NAT210007072.

³¹ დაკორექტირდა სამუშაოების მოცულობები.

დოკუმენტაცია გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე, ამასთანავე, აუარესებდა მერიის პირობებს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

რეკომენდაცია №3

მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას. აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

2.2.2.2 მიწოდების ვადების დაუსაბუთებელი ზრდა

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას.³² სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულებაში ასახული პირობების შესრულება სავალდებულოა შესყიდვებში მონაწილე პირებისთვის. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს და სამუშაოს დასრულების ვადა გაგრძელდეს მხოლოდ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო. ამასთანავე, დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება შემსყიდველი ორგანიზაციის პირობების გაუარესება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.³³

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას მუნიციპალიტეტმა 70 ხელშეკრულების ფარგლებში დააკორექტირა ობიექტის მიწოდების ვადები. ხელშეკრულებების ცვლილების პროცესის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი:

31 ხელშეკრულებისათვის³⁴ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს სამუშაოების ვადა გადაუწია უამინდობის მოტივით. ვადის გადაწევის საფუძველი იყო საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ცნობა ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები არ მიუთითებს, რომ ეს მონაცემები აღემატება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს და ფორსმაჟორულია. გარდა ამისა, საპროექტო ორგანიზაციის მიერ სამუშაოების შესასრულებლად დადგენილი ვადა, როგორც წესი, ითვალისწინებს ნალექიან დღეებსაც. მუნიციპალიტეტს უამინდობის მოტივით არ უნდა გადაეწია მიწოდების ვადები და უნდა გაეგრძელებინა ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ აკონტროლებდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცულობას, სამუშაოების დასრულების ვადები 31 შემთხვევაში გაზარდა დაუსაბუთებლად, არაობიექტური მიზეზებით.

2.2.3 გამოუყენებელი აქტივები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის

³² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 33, პუნქტი 5.

³³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 5.

³⁴ NAT220001016; NAT220001285; NAT220016085; NAT220005495; NAT210007072; NAT210007879; NAT210007977; NAT220003737; NAT220015619; NAT220020249; NAT220023441; NAT220024181; NAT220023696; NAT220024386; NAT210009734; NAT210009827; NAT210009864; NAT210014413; NAT210015214; NAT210016028; NAT210000027; NAT210000043; NAT210000044; NAT210012802; NAT210017949; NAT210022930; NAT200013926; NAT200016545; NAT200016388; NAT200016389; NAT200018286.

შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.³⁵

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.³⁶

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებისა და შეძენილი აქტივების განკარგვის მხრივ მიმდინარეობდა ხარვეზებით, კერძოდ:

1) მუნიციპალიტეტს 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით გამოუყენებელი ჰქონდა 2020-2021 წლებში შეძენილი 26.6 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლებიც ითვალისწინებდა 12 ობიექტის მშენებლობას/რეაბილიტაციას.³⁷ კერძოდ, არ შესრულებულა გზების, სასმელი წყლის სისტემებისა და სარწყავი არხის რეაბილიტაცია, ავარიული შენობების დემონტაჟი, ხევის ნაპირსამაგრი გაბიონის კედლის მოწყობა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროექტების გამოუყენებლობის მიზეზს წარმოადგენს არასაკმარისი ფინანსური რესურსი. მუნიციპალიტეტს უნდა განესაზღვრა პროექტის რეალური საჭიროება, სავარაუდო ღირებულება, დაფინანსების წყარო და მხოლოდ ამის შემდეგ განეხორციელებინა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცედურები. ამასთანავე, წარმოდგენილი არგუმენტი შეუსაბამოა, რადგან მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში გააჩნდა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი, რომლის გამოყენებაც შეეძლო აღნიშნული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოსაწყობად.

გარდა ამისა, არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და შესაბამისად, ერთეული ფასების ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გახდეს მოქმედ ფასებთან შეუსაბამო და კორექტირებისათვის საბიუჯეტო თანხები დამატებით დაიხარჯოს;

2) 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა სასმელი და სარწყავი წყლის ქსელის მიმდინარე შეკეთებისათვის შეიძინა – 257.6 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა მასალა. პროექტი ითვალისწინებდა სხვადასხვა სოფლის წყლის სისტემების რეაბილიტაციას. წარმოდგენილი მონაცემებით გამოვლინდა, რომ შეძენილი მასალების ნაწილი, თანხით – 39.2 ათასი ლარი, დასაწყობებულია და დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული.³⁸ მუნიციპალიტეტმა სამუშაოების დაგეგმვისას არ გაითვალისწინა ყველა ფაქტორი, რასაც შესაძლოა ხელი შეეშალა პროექტის წარმატებით დასრულებისათვის.

დასკვნა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და აქტივების მართვაში არსებული კონტროლის მექანიზმების ხარვეზების გამო, სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტმა გონივრულ ვადაში ვერ გამოიყენა

³⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 1; პუნქტი 6, „ა“ ქვეპუნქტი.

³⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

³⁷ პროექტების ჯამური ღირებულება შეადგენს 3,120.0 ათას ლარს.

³⁸ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სოფელ ადიგენზე გამოყოფილი მიწები დასაწყობებულია, ვინაიდან მოხდა წყლის დებეტის დაკლება და აღარ გახდა საჭირო ახალი ხაზის დამატება. სარწყავი წყლის ქსელისათვის შეძენილი მასალების ნაწილი დასაწყობებულია აგრეთვე სოფლებში: ზედუბანსა და პატარა ზანავში.

შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შეძენილი მასალები. შედეგად, მუნიციპალიტეტმა არაფექტიანად დახარჯა 65.8 ათასი ლარი და პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.

2.3 მუნიციპალური სერვისების მიწოდება

2.3.1 მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.³⁹ კანონმდებლობის მიხედვით, სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, უვნებელი და აკმაყოფილებდეს ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი.⁴⁰ კანონმდებლობის მიხედვით, მომხმარებლისათვის წყლით მომარაგება განეკუთვნება ისეთ საქმიანობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას – ლიცენზიას.⁴¹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის 57 დასახლებული პუნქტიდან,⁴² დაბების: ადიგენისა და აბასთუმნის, აგრეთვე ორი სოფლის მოსახლეობისთვის წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, დანარჩენი 53 სოფლის მოსახლეობის წყალმომარაგება ფუნქციურად ევალუბოდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ – ადიგენის წყალმომარაგებას.⁴³

აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ-ს არ აქვს საქმიანობის შესაბამისი ლიცენზია. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის.

მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემების განვითარება პრიორიტეტულადაა მიჩნეული.⁴⁴ 2021-2022 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე დაიგეგმა 1,113.9 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება,⁴⁵ ფაქტობრივად გაწეულია 789.8 ათასი ლარის ხარჯი (71%).⁴⁶ მიუხედავად ამისა, წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული აქტივობები არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს სასმელ წყალზე მოსახლეობის ნაწილის ყოველდღიური მოთხოვნის დაკმაყოფილებას. კერძოდ, 53 სოფელში მცხოვრები 5 739 ოჯახიდან, 2 647 ოჯახს წყალი მიეწოდება გრაფიკით. მოსახლეობის უმრავლესობა ზაფხულში განიცდის წყლის დეფიციტს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი არ ახორციელებს სასმელი წყლის სრულ ლაბორატორიულ კვლევას. ა(ა)იპ-ს არ გააჩნია მიკრობიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევებისათვის საჭირო ლაბორატორია, საფილტრი მოწყობილობები და სხვა საჭირო ტექნიკა; სათავე ნაგებობები/რეზერვუარები, საიდანაც

³⁹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

⁴⁰ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

⁴¹ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 87.

⁴² დაბა ადიგენი, დაბა აბასთუმანი და 55 სოფელი.

⁴³ წესდების მიხედვით, ა(ა)იპ-ის საქმიანობის მიზანია მოსახლეობისათვის სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდება, გაწეული მომსახურების საფასურის ადმინისტრირება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასმელი და სარწყავი წყლის სისტემის კომპლექსური მომსახურება, ექსპლოატაცია, მოვლა-პატრონობა და სხვ.

⁴⁴ მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს მიღებული „ადიგენის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წლებისათვის“ და 2021 წელს მიღებული „ადიგენის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2025 წლებისათვის“.

⁴⁵ მათ შორის, 2021 წელს - 802.5 ათასი ლარი, 2022 წელს - 311.4 ათასი ლარი.

⁴⁶ მათ შორის, 2021 წელს - 558.8 ათასი ლარი, 2022 წელს - 231.0 ათასი ლარი.

დასკვნა

მოსახლეობას წყალი მიეწოდება, არ არის აღჭურვილი წყლის გამწმენდი საშუალებებით.

რეკომენდაცია №4

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების მნიშვნელოვანი პრობლემები: სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი, მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი მიეწოდება შეფერხებით, მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება.

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

2.4

**წარმომადგენლობითი
და აღმასრულებელი
ორგანოების
დაფინანსება**

**2.4.1 საწვავის ხარჯვის
ნაკლოვანებები**

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს საწვავით გამართვა განხორციელდეს აგაი სისტემის გამოყენებით.⁴⁷ სათანადო გამოყენების პირობებში სისტემამ უნდა უზრუნველყოს საწვავის ხარჯვაზე ეფექტიანი კონტროლი. მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁴⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტის კუთვნილი ავტომანქანების საწვავით გამართვა ხორციელდებოდა კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ავტოგასამართი სადგურიდან, აგაი სისტემის გამოყენებით. საწვავის ხარჯვის დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა ხარვეზები საწვავის მიზნობრივ გამოყენებასა და რაციონალურ ხარჯვასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- 1) გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალებებში დროის მცირე ინტერვალში ჩასხმულია ავტომობილის ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობის საწვავი. აღნიშნული შეუსაბამობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აგაი სისტემით აღჭურვილი ავტომანქანისათვის განკუთვნილი საწვავით იმართება სხვა ტრანსპორტი, ჩიპის გადაადგილების შემთხვევაში. დროის მცირე ინტერვალში ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით საწვავი ჩასხმულია 4 შემთხვევაში (იხ. დანართი №2);
- 2) დაფიქსირდა მივლინების ან/და სხვა სახის დასაბუთების გარეშე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მდებარე ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავით გამართვის 21 ფაქტი. ამ შემთხვევებში ავტომანქანებში ჩასხმულია 716 ლიტრი საწვავი (იხ. დანართი №3).

⁴⁷ აგაი სისტემა - ავტომანქანის გამართვა და ავტომატური იდენტიფიცირება. სისტემა/საშუალება, რომლის გამოყენებითაც ავტორიზებული ავტომობილის ავზზე ავტოგასამართ სადგურზე იდენტიფიკაციისათვის მონტაჟდება სპეციალური ჩიპი (მეხსიერების ბარათი).

⁴⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

დასკვნა

საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები მუნიციპალიტეტში სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

**2.4.2 შრომითი
ხელშეკრულებით
დასაქმებულთა
რაოდენობის ზღვრის
დარღვევა**

კრიტერიუმი: საჯარო სამსახურის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტს შეუძლია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმოს პირები დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად.⁴⁹

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს. მუნიციპალიტეტების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება საკრებულოსთან შეთანხმებით.

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტს დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შეეძლო შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებინა, მაქსიმუმ 6 პირი.

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად მუნიციპალიტეტი იყენებდა დაქირავებულ შრომას. პროცესის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა არ დაიცვა დასაქმებულთა რიცხოვნობის კანონმდებლობით დაწესებული ზღვარი. კერძოდ, 2021 წელს მუნიციპალიტეტმა დამხმარე ამოცანების შესასრულებლად დახარჯა 128.2 ათასი ლარი. ამ მიზნით ერთდროულად დაქირავებულთა რაოდენობა სხვადასხვა თვეში იცვლებოდა 10-დან 12 მოსამსახურემდე, რაც 4-6 ერთეულით აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ოდენობას. მერიამ საკრებულოსთან შეთანხმდა მხოლოდ 4 დაქირავებულის დამატებით დასაქმება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულებით დაქირავებული შრომის გამოყენების პრინციპი არ შეესაბამება საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებას. 2021 წელს მუნიციპალიტეტმა 1-2 ერთეულით გადაამეტა შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებულთა დასაშვებ რიცხოვნობას.

**2.5 მუნიციპალური
ქონების მართვა**

**2.5.1 ქონების მართვის
ხარვეზები**

კრიტერიუმი: კანონმდებლობის მიხედვით, საიჯარო ხელშეკრულების მხარემ შეიძლება მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შეცვლილი გარემოებებისადმი.⁵⁰ საიჯარო ქირის საფასური შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.⁵¹

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გასხვისება, ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემა ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით წინასწარ განსაზღვრული მოვლა-პატრონობის პირობით.⁵²

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტი ფლობდა 300-ზე მეტი დასახელების სხვადასხვა დანიშნულების უძრავ ქონებას. მერიამ ვერ

⁴⁹ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 3, „ვ“ ქვეპუნქტი.

⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398.

⁵¹ მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებები.

⁵² საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, მუხლი 32.

უზრუნველყო საკუთრებაში არსებული აქტივების სათანადო განკარგვა, კერძოდ:

- J) 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტში მოქმედებდა 2010-2018 წლებში გაფორმებული 3 გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება, რომლებიც ითვალისწინებდა საიჯარო ფასის გადასინჯვას. მუნიციპალიტეტს არ უმსჯელია იჯარით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვისა და საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. შესაბამისად, საიჯარო გადასახადი მუნიციპალიტეტს არ შეუცვლია, რითაც დაკარგა დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა;
- J) 2022 წლის აპრილში მერიამ პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით გაასხვისა დაბა აბასთუმანში მდებარე XIX საუკუნის⁵³ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.⁵⁴ აუქციონის პირობის მიხედვით, უძრავი ქონების პრივატიზების შემთხვევაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე მყიდველს უფლება არ ჰქონდა განეხორციელებინა სარემონტო ან რაიმე სახის სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.⁵⁵ უძრავი ქონება 169.4 ათას ლარად შეიძინა შპს „ოცხე 2022“-მა. საჯარო რეესტრის მიერ აღნიშნული ქონება დარეგისტრირდა საპრივატიზებო პირობის გარეშე.⁵⁶

დასკვნა

ქონებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არაოპტიმალურია. ამასთანავე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გასხვისების პროცესში, მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა ძეგლის არასათანადოდ განკარგვის რისკები.

2.6 სოციალური დახმარება

2.6.1 მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების პროგრამის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი იქმნება გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად.⁵⁷

მუნიციპალიტეტს უფლება აქვს განახორციელოს ღონისძიებები მოსახლეობაზე სოციალური დახმარების გაწევის მიზნით.⁵⁸ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებზე დახმარება გაიცემა საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესისა და კრიტერიუმების შესაბამისად.⁵⁹

მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს საქმიანობის წარმართვა ისე, რომ მაქსიმალურად გამორიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკი სოციალური დახმარების გაცემის პროცესში. საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს ფინანსური დახმარების გაცემის წესს, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს, რა კრიტერიუმებსა და პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს დახმარების მიმღები პირი.

მუნიციპალიტეტი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების მიზნით სამშენებლო მასალების შესყიდვისათვის გაცემს დახმარებას.

⁵³ www.heritagesites.ge

⁵⁴ 171,30 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობა თავისი 174 კვ.მ ფართის სარდაფით. საკადასტრო კოდები: 61.11.01.177.01.500 და 61.11.01.177.01.501.

⁵⁵ <https://www.eauction.ge/Home/EntityView/782941>.

⁵⁶ აღნიშნული ქონება შემდგომ გასხვისებულ იქნა 2 ფიზიკურ პირზე. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლის შემდგომ, ორი ქონების (საკადასტრო კოდები: 61.11.01.177.01.501 და 61.11.01.177.01.503) მიმართ აღდგენილია საპრივატიზაციო პირობა, ხოლო ერთ შემთხვევაში (საკადასტრო კოდი 61.11.01.177.01.504) მუნიციპალიტეტის ჩართულობით მიმდინარეობს საპრივატიზებო პირობის დარეგისტრირების პროცესი.

⁵⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 67, პუნქტი 1.

⁵⁸ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16.

⁵⁹ საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №46 დადგენილება, საკრებულოს 2019 წლის 7 მაისის №19 დადგენილება.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁶⁰

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტი სოციალურ დახმარებებს ძირითადად გასცემდა შესაბამისი საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდით, პროგრამულად, ბენეფიციართა შერჩევის კონკრეტული კრიტერიუმების გათვალისწინებით. კერძოდ, 2021-2022 წლებში 10 სხვადასხვა სოციალური პროგრამის შესაბამისად, სულ დახარჯულია 1,050.1 ათასი ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დახმარების გაცემის პროცესში გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- სოციალური დახმარება 31 შემთხვევაში გაცემულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან და ამ მიზნით გამოყოფილია 114.2 ათასი ლარი. დახმარების გაცემის საფუძველია მერის ბრძანებები, ხოლო თანხები ანგარიშსწორებისას გასულია „მოსახლეობის სამედიცინო და სააფთიაქო მომსახურების პროგრამიდან“. აღსანიშნავია, რომ სარეზერვო ფონდის გარდა, აღნიშნული პროგრამით 906 მოქალაქეზე გაცემულია სულ 614.6 ათასი ლარის სოციალური დახმარება. შესაბამისად, სარეზერვო ფონდი არ არის გამოყენებული ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად, რადგან არსებობდა შესაბამისი სოციალური პროგრამა. ამასთანავე, სარეზერვო ფონდიდან დახმარებები გაცემულია სოციალური პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების გარეშე. კერძოდ, ბენეფიციარებს განცხადებების საფუძველზე მიღებული აქვთ სხვადასხვა ოდენობის თანხა ისე, რომ არ არის დასაბუთებული როგორ და რის საფუძველზე განისაზღვრებოდა დახმარების მიმღებთა კატეგორია და დახმარების ოდენობა;
- მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების პროგრამა მოიცავს „მძიმე ეკონომიური მდგომარეობის ოჯახებზე დახმარების“ ქვეპროგრამას, რომელიც ითვალისწინებდა ფულად დახმარების გაწევას ერთჯერადად, ფულადი ფორმით ოჯახის სულადობის მიხედვით.⁶¹ აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, 2021-2022 წლებში 375 ბენეფიციარზე გაცემულია 58.8 ათასი ლარი. თანხის გაცემის არსებული წესის მიხედვით, დახმარების გაწევის საფუძველია ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა, ოჯახის მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა და სოციალური დახმარების მიზანშეწონილობის შესახებ. ოჯახის მდგომარეობის შეფასების სხვა კრიტერიუმი დაწესებული არ არის.⁶² შესაბამისად, დახმარების მიმღებ ოჯახს ადგენდა მერის წარმომადგენელი საკუთარი შეხედულებისამებრ. ამდენად, კრიტერიუმების არარსებობის პირობებში არ არის დასაბუთებული, რა გარემოებებს ითვალისწინებდა წარმომადგენელი დახმარების აუცილებლობისა და მოცულობის განსაზღვრისას;
- მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები ასევე მოიცავს მოსახლეობის ფულად დახმარებას დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სამშენებლო

⁶⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

⁶¹ 2021 წელს ერთსულიან ოჯახზე გაიცემოდა 50 ლარი, 2-სულიან ოჯახზე 70 ლარი, სამი და მეტსულიანზე - 100 ლარი; 2022 წელს ერთსულიან ოჯახზე გაიცემოდა 100 ლარი, 2-სულიან ოჯახზე - 150 ლარი, სამი და მეტსულიანზე - 200 ლარი.

⁶² მათ შორის, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული სარეიტინგო ქულა.

მასალების შესაძენად. ამ მიზნით 2021 წელს მუნიციპალიტეტმა 62.3 ათასი ლარი ჩაურიცხა 69 მოსახლეს, რომელთაც საკუთარი ძალებით უნდა აღმოეფხვრათ საცხოვრებელ სახლებზე არსებული დაზიანებები.

მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის დახმარება გადაწყვიტა ისე, რომ არ გაითვალისწინა მოსახლეობის ცოდნა-გამოცდილება და ფინანსური შესაძლებლობა მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით. შედეგად, გაცემული დახმარების მიუხედავად, არსებული პრობლემები არ არის გამოსწორებული. კერძოდ, 21 ოჯახს, რომლებზეც გაცემულია 15.7 ათასი ლარის დახმარება, დაზიანებული სახლები არ აღუდგენია. აქედან, 12 მოსახლეს 7.7 ათასი ლარის ღირებულების მასალები შეძენილი და დასაწყობებული აქვს; 9 მოსახლეს, რომელზეც გაიცა 8.0 ათასი ლარი, მასალები არ შეუძენია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით დაწესებული კრიტერიუმები და სარეზერვო ფონდიდან გაცემული ერთჯერადი ფულადი დახმარება ვერ უზრუნველყოფს თანხების სამართლიან და ეფექტიან განაწილებას, ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დაზიანებული სახლების მესაკუთრე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად ვერ შეარჩია სამუშაოების შესრულების სათანადო ფორმა, შედეგად სრულად არ არის მიღწეული პროგრამით გათვალისწინებული მიზნები.

2.7 ორგანიზაციული და პერსონალის მართვა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.⁶³ ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა უნდა მოითხოვოს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსი.⁶⁴

2.7.1 დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტს დელეგირებული ჰქონდა ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებების ნაწილი.⁶⁵ აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით მუნიციპალიტეტმა მიიღო 679.0 ათასი ლარი.⁶⁶ გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი და დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების მიზნით დამატებით დახარჯა 80.6 ათასი ლარი.⁶⁷ აღნიშნული თანხა ძირითადად გამოყენებულია შრომის ანაზღაურების, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით, რომლის დაგეგმვა და გაანგარიშებაც მუნიციპალიტეტს შეეძლო წინასწარ.

მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის გაზრდის მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისთვის არ მიუმართავს. მუნიციპალიტეტის სამსახურებს არ უმსჯელიათ, შეემცირებინათ ხარჯები და საქმიანობა განხორციელებინათ

⁶³ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 17, პუნქტი 2.

⁶⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 79, პუნქტი 2.

⁶⁵ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის (ნაწილობრივ), საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის (ნაწილობრივ), ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ღონისძიებების უზრუნველყოფა.

⁶⁶ 2021 წელს - 280.7 ათასი ლარი, 2022 წელს - 398.3 ათასი ლარი.

⁶⁷ 2021 წელს - 23.5 ათასი ლარი, 2022 წელს - 57.1 ათასი ლარი. ტექნიკური ხარჯების გამო, 2022 წელს მუნიციპალიტეტმა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებაზე მიმართა საკუთარი შემოსავლები - 57.1 ათასი ლარის ოდენობით, როცა არ ჰქონდა ათვისებული მიღებული ტრანსფერი - 15.2 ათასი ლარი.

დასკვნა

დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესაბამისად, რამაც დამატებითი ხარჯი გამოიწვია.

**2.7.2 საბიუჯეტო
პროცესის ხარვეზები**

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.⁶⁸

მუნიციპალიტეტმა ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული საკუთარი შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლების (მოცულობის) ყოველწლიური ზრდის (დასაგეგმი საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ საკუთარ შემოსულობებსა და წინა წლის დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ საკუთარ შემოსულობებს შორის დადებითი სხვაობის) საფუძველზე მიღებული გაზრდილი ფინანსური რესურსები, შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ არაფინანსური აქტივების ზრდასთან დაკავშირებული გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების (გზები, სპორტული და სააღმზრდელო დაწესებულებები, სხვა ობიექტები) მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სახსრებისა.⁶⁹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საბიუჯეტო პროცესი გამოირჩევა შემდეგი ნაკლოვანებებით:

- 1) 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს, ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში არ მოუზადებია ანგარიშები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით;
- 2) 2021 წელს საკუთარი შემოსულობები მუნიციპალიტეტში 2020 წელთან შედარებით 360.1 ათასი ლარით გაიზარდა. შესაბამისად, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი ექვემდებარებოდა 278.4 ათასი ლარით გაზრდას.⁷⁰ მუნიციპალიტეტმა აღნიშნული გარემოება არ გაითვალისწინა.

დასკვნა

2021-2022 წლების საბიუჯეტო პროცესი მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ხარვეზებით და არ შეესაბამებოდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**2.7.3 დასუფთავების
მოსაკრებლის
არასათანადო
ადმინისტრირება**

კრიტერიუმი: ადგილობრივი მოსაკრებელი აუცილებელი გადასახდელია თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.⁷¹ მუნიციპალიტეტში საკრებულოს დადგენილების საფუძველზე დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი.⁷²

⁶⁸ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 84, პუნქტი 4.

⁶⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 155, პუნქტი 3.

⁷⁰ საკუთარი შემოსულობების ზრდა - 360.1 ათასი ლარი მცირდება 81.7 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა საჭირო იყო ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისთვის.

⁷¹ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

⁷² საკრებულოს 2015 წლის 7 აპრილის №18 დადგენილება „ადგილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების სახეების და განაკვეთების ოდენობის დამტკიცების შესახებ“.

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებდა ა(ა)იპ – ადიგენის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური.⁷³ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2021-2022 წლებში დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები იყო 165.9 ათასი ლარის შემოსავალი. ბიუჯეტში ფაქტობრივად მობილიზებულია მხოლოდ 69.5 ათასი ლარი – მისაღები მოსაკრებლის 42%. ჯამური დავალიანება 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით – 280.0 ათას ლარს შეადგენს.⁷⁴

დასკვნა

მერიამ ვერ უზრუნველყო საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირება, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №5

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას, მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე; აღნიშნული შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელს.

2.8 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა - ნაკლოვანებების მდგომარეობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ადიგენის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტმა არ უზრუნველყო სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რაც აღწერილია წინამდებარე აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

-)/ გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რომელთა საგარანტიო ვადა ამოწურული არ იყო;
-)/ მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამა მიმდინარეობს ხარვეზებით, სათანადო კონტროლი არ არის დაწესებული გაცემული დახმარების მიზნობრივ გამოყენებაზე;
-)/ მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ;
-)/ არ არის დაწესებული სათანადო კონტროლის მექანიზმები ადილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების მიზნით და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული

⁷³ მერიის 2020 წლის 12 მარტის №470 09 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ადიგენის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის წესდების მუხლი 3, პუნქტი 3.1, „ბ“ ქვეპუნქტი.

⁷⁴ მათ შორის, 2020 წლის 1 იანვრისთვის გადაუხდელი მოსაკრებელი შეადგენდა 183.6 ათას ლარს.

აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

აუდიტორები


ხელმოწერა


გიორგი ჩახვაძე
მთავარი აუდიტორი

თათია ამბროლაძე
უფროსი აუდიტორი

ლელა მიქაძე
აუდიტორი

პაატა კუბლაშვილი
აუდიტორი






დანართები

დანართი №1.

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები⁷⁵

შესყიდვის №	ობიექტი	ღირებულება (ათასი ლარი)	ხარვეზი
NAT200016389	ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელოვნის საჯარო სკოლის სველი წერტილის მოწყობა	79.5	დაზიანებულია წყლის მილები და არ მიეწოდება წყალი. სველი წერტილები არ ფუნქციონირებს.
NAT220011719	თორნიკე ერისთავის ქ. №22-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის ნაწილის რეაბილიტაცია	93.9	შენობის ერთი კედელი ფანჯრის მიმდებარედ ნესტიანი და დაზიანებულია.
NAT220005495	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოში გასართობი მოედნის მოწყობა	52.1	ერთი ატრაქციონი გატეხილია.
NAT220010154	სტადიონისა და ცენტრალური სკვერის მიმდებარედ არსებული საზოგადოებრივი სველი წერტილების რეაბილიტაცია	11.2	ობიექტზე წყალი არ არის შეყვანილი და არ ფუნქციონირებს. სკვერის მიმდებარედ შენობის კედლები შიგნიდან ნესტიანია.
NAT220028242	№1 ადმინისტრაციულ შენობაში სათათბირო ოთახის რეაბილიტაცია	4.9	კედლის ერთი ნაწილი ნესტიანია.
NAT220018388	დაბა აბასთუმანში „არაზინდოს“ დასახლებაში საბავშვო ატრაქციონის მოწყობა	25.2	სათამაშო მოედანზე აცვენილია კაუჩუკის ფილები.
NAT210017949	სოფელ ვარხანასა და ხევაშენს შორის არსებული „პაჭოს წყაროს“ მიმდებარედ სკვერის მოწყობა	129.6	ბილიკებზე დაყრილი პემზა უხარისხოა (არ არის დაფეხილი), ბეტონის იატაკი ფანჯატურის ფარდულის ქვეშ უსწორმასწოროა.
NAT210005258	სოფელ დიდი ზანავის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	94.9	კედლები რამდენიმე ადგილზე დაზარალებულია, მეტლახის და ლამინატის გადაბმა არ არის დასრულებული (დაუფარავია), ამძვრალია კაფელის გარე კუთხე.
NAT220018213	სოფელ პატარა ზანავში საბავშვო ატრაქციონის მოწყობა	24.7	სათამაშო მოედანზე აცვენილია კაუჩუკის ფილები.
NAT220001024	სოფელ მლაშისა და მოხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	282.7	გზის ნაპირის გასწვრივ ასფალტბეტონი დაზიანებულია (დაშლილია).
NAT210009307	სოფელ კეხოვანის მინი-სტადიონის მოწყობა	108.6	კარების უკანა კედლები დაზიანებულია.
NAT220015457	სოფელ მოხეში მინი-სტადიონის მოწყობა	113.3	კარების უკანა კედლები დაზიანებულია.
NAT210009734	სოფელ უტყისუბნის მინი-სტადიონის მშენებლობა	95.9	კარების უკანა კედლები დაზიანებულია.
სულ:		1,116.5	

⁷⁵ NAT200016389; NAT220018388; NAT220018213; NAT210017949; NAT220001024; NAT210009307; NAT220015457; NAT210009734 შესყიდვებისათვის ხარვეზები 28.11.2023 წლის მდგომარეობით გამოსწორებულია.

დანართი №2.

2021-2022 წლებში დროის მცირე მონაკვეთში ავტომობილებში ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით საწვავი ჩასხმის შემთხვევები

№	ავტომანქანის/ზარათის ნომერი	ავტომანქანის ავზის მოცულობა (ლიტრი)	ერთჯერადად ჩასხმული საწვავის რაოდენობა (ლიტრი)	დღეში რამდენჯერ არის ჩასხმული	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო
1	SS847CS	58	50	2	08.03.2021	15:13
			15		08.03.2021	15:15
2	BB589OB	42	28	2	14.01.2022	13:33
			36		14.01.2022	14:56
3	BB589OB	42	38	2	11.02.2022	11:16
			30		11.02.2022	13:48
4	SS041CS	75	40	2	13.03.2022	00:13
			45		13.03.2022	00:21
სულ:			242	8		

დანართი №3.

2021-2022 წლებში ავტომანქანებში ადიგენის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ შესაბამისი დასაბუთების გარეშე საწვავის ჩასხმის შემთხვევები

№	ავტომანქანის/ზარათის ნომერი	საწვავის ჩასხმის ჯერადობა	საწვავის რაოდენობა (ლიტრი)
1	BB622BC	6	220.01
2	BB623BC	2	76
3	BB624BC	2	53.74
4	BB625BC	6	220.16
5	SS472CS	3	86
6	UW042WU	2	60
	სულ	21	715.91

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38